სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. | წელიწადი პირველი. | ბრძოლაში ჰპოებ შენს უფლებას.

კვირა, ნოემბრის 10, 1918 წელი.

# შრომა

№ 74

გაზეთის ფასი 40 კაპ.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 9 მან., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.
**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, Контора газ. „Шрома“, Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—11 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.
რედაქციის მისამართი: Тифлис, Редакція газ. „Шрома“, Баронская ул. № 16.

ორგანო საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარ. ცენტრალურ კომიტეტისა

**სახელმწიფო თეატრი**
კვირას, 10 ნოემბერს, პირველი სპექტაკლი დ ი ლ ი თ
**ევგენი ონეგინი.**
ოპერის წარმომადგენელი—ს. ი. ევლახოვი.

**ექიმი** ქალი რ. ბ. შიშლო. საბაშვილი.
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საზებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ., სახლი № 119 ტელ. 9—26.

**პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი**
ენების კარგათ მცოდნე, განსაკუთრებით ქართულისა და გერმანულის,
**ამზადებს მოწაფეებს**
გიმნაზიის ყველა კლასისათვის. მისამართის გაგება შეიძლება გაზეთ „შრომის“ რედაქციაში, ი. ტატიშვილთან, ბარონის ქუჩა, № 16.

**ქ. თბილისი, ნოემბრის 10.**

დაშნაკელთა ორგანოებში გრძელდება პროვოკაციული აგიტაცია. უკანასკნელ დღეებში ამ ორგანოებში საქართველოს რესპუბლიკისა და მთავრობის წინააღმდეგ მიმართულმა აგიტაციამ მეტად ინტენსიური ხასიათი მიიღო, რამაც გამოიწვია საქართველოს პარლამენტში სასწრაფო შეკითხვა.

დაშნაკელთა პრესა საშინელ ბრალდებას უყენებს ჩვენს რესპუბლიკას. საქართველო მათი აზრით, მეორე მესოპოტამია არის, სადაც სომხის ერის განადგურება ხანხოისკისა და ტალაათბეის მეთოდითა და სისტემით სწარმოებს. გაზეთი „ორიზონი“ პირდაპირ მოუწოდებს სომხის ყველა ორგანიზაციებს აქტიური პასუხი გასცენ იმ საშინელებას, რომელიც თითქოს სომხების წინააღმდეგ ხდება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

ეს აშკარა პროვოკაცია ერთხმად დაგმო ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებსაც სწამთ საქართველოს დამოუკიდებლობა და კარგათ იციან, თუ რა ხდება ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში... ქართველი ნაციონალისტები შეეცადენ დაშნაკელთა პროვოკაცია თავის მიზნებისათვის ვამოეყენებიათ, მაგრამ ქართველმა დემოკრატიამ და მისმა წარმომადგენლებმა კარგათ იციან, რომ სომხის დემოკრატია პასუხს არ აგებს დაშნაკელთა ავანტიურაში.

დაშნაკცუტიუნი—ეს სომხის ერის უბედურებაა. ეს პარტია არ არის პოლიტიკოსთა პარტია, არამედ ის არის პოლიტიკანთა პარტია, რომლის პოლიტიკა ყოველთვის საშინელ ტრაგედიათ ევლინება სომხის ერს, უნდა გააქროს ის. სომხის დემოკრატიამ უნდა გამოუტანოს მას მრისხანე და საბოლოო განაჩენი. როდესაც პარტიის ხელმძღვანელი წრეები საბედისწერო ნაბიჯებსა სდგამენ, თვით პარტიაში იწყება დაშლისა და განხეთქილების პროცესი. ასე მოხდა ბოლშევიკების პარტიაში ბრესტის ზავის შემდეგ, ასე მოხდა მემარცხენე ესერების პარტიაში მოსკოვში მომხდარ აჯანყების შემდეგ, ასე მოხდა თვით დაშნაკელთა პარტიაშიც სომეხ-თათართა საშინელი ჟლეტის შემდეგ. მას გამოეყო პოლიტიკურად ჯანსაღი ელემენტები და ტრაღიკულად მოკლული ამხ. ლ. ათაბეგიანის მეთაურობით ჩვენს პარტიას შეუერთდა.

დაშნაკელთა უკანასკნელმა პროვოკაციამ უნდა გამოაფხიზლოს საბოლოოდ დაშნაკციუტუნის ჯანსაღი და ინტერნაციონალისტური ელემენტები. ჩვენ გვწამს, დღეს თუ ხვალ სომხის დემოკრატია დაუპირდაპირებს თავის თავს დაშნაკციუტუნის პარტიას. ეს იქნება ახალი ხანა სომხის დემოკრატიის ისტორიაში.

ამ საქმეში დიდი როლი შეუძლიათ ითამაშონ სომეხ ს.-რევოლიუციონერებსა და სოც.-დემოკრატებს. ჩვენ ველით მათ აქტიურ გამოძახილსა და დახმარებას.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

მ ო ს კ ო ვ ი. (გაგრძელება) ვიდრე განვლილ წელს. მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ მარტონი არა ვართ. ახალი აპარატის შექმნაში პროფესიონალური კავშირები ძალიან დიდ როლს თამაშობენ; ბევრია გაკეთებული, მაგრამ მომავალში გასაკეთებელი უფრო მეტია. ამხანაგებო, გასწით წინ იმავე გზით, რომლითაც მიდიოდით და ჩააბით საქმეში სულ ახალი ძალები. საერთაშორისო პროლეტარიატი სდგება და ყველგან დაამხობს კაპიტალიზმს, გბოლომდინ მიიყვანს ჩვენ მიერ დაყენებულ საქმეს, რომელიც მიგვიყვანს სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე.

ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში გუშინ გაიხსნა ახალი ძეგლების მთელი რიგი. „საბჭოთა მოედანზე“ გაიხსნა ობელისკი ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავის აღსანიშნავათ. „რევოლიუციის მოედანზე გაიხსნა მარქსის და ენგელსის ძეგლები; დაესწრო თვით ლენინი. ალექსანდრის ბაღის შესასვლელთან დადგმულია ივანე კალიაევის წითელი ძეგლი 19 თებერვლის ქუჩაზე სოფიო პეროვსკაიასი და სხვათა ძეგლები. პეტერბურგი, 8 ნოემბერი. გუშინ 7 ნოემ. სმოლნში საბჭოთა სადღესასწაულო კრება მოხდა. სმოლნის წინ მოედანი სავსე იყო ხალხით. კრებას არა ჩვეულებრივი დღესასწაულის ხასიათი ქონდა. ილაპარაკა ზინოვიევმა ლუნაჩარსკიმ და მრავალმა სხვამ. მოსკოვი, 8 ნოემ. საბჭოთა ყრილობის მეორე სხდომა გაიხსნა 31-2 საათზე. თავმჯდომარე სვერდლოვი კითხულობს დღის წესრიგს და წითელ არმიელთა მიერ იეევსკის დაჭერაზე. ეს ცნობა ოვაციებს იწვევს. შემდეგ სიტყვა ეძლევა ლენინს, რომელიც საერთაშორისო მდგომარეობის შ სახებ მოხსენებას აკეთებს. „ოქტომბრის რევოლიუციის დასაწყისიდანვე საგარეო პოლიტიკის საკითხი მთავარ საკითხათ გადაიქცა. იმიტომ რომ იმპერიალიზმი ნიშნავს ყველა სახელმწიფოთა ერთ სისტემაში გადაჯაჭვას და შეერთებას სოციალიზმის სრული გამარჯვება წარმოუდგენელია ერთ სახელმწიფოში... (დამახინჯებულია) მე მოკლეთ მოგაგონებთ ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ ეტაპებს წარსულ წელში. თავდაპირველად ჩვენ მარტონი ვიყავით და ამიტომ იძულებული გავხდით მთელი ჩვენი ენერგია დასავლეთ ევროპის მასსის განვითარებისათვის დაგვეხარჯა. თქვენ კარგათ იცით, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ომს იწვევდა ბურჟუაზიული ნაწილი და ატყუებდა ხალხს.

ბერლინი. სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ 1870-71 წლის ჯარისკაცთა კონტიგენტების ნაწილი, რომელიც ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებენ, სამშობლოში დააბრუნონ დაუყონებლივ.

ბავარიის სამხედრო მინისტრის ბრძანებაში შემდეგია ნათქვამი „დროებით შერიგების პირობების, (რომელიც შეთანხმების სახელმწიფოებმა ავსტრიას წარუდგინეს), განხორციელების გამო ჩვენს საზღვრებს საფრთხე მოელის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან. ბავარიის ხალხი, რომელმაც ამ ომის განმავლობაში გასაოცარი გამბედაობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა, მტკიცედ შეხვდება ამ საფრთხეს. საფუძველი შეშფოთებისა არ არის. საფრთხის თავიდან ასაცილებლათ უკვე მიღებულია ზომები და ხორციელდება კიდეც იგი. ხალხს დაუყოვნებლივ ეცნობება, თუ, მოლოდინის წინააღმდეგ, რაიმე პირდაპირი საფრთხე მოგვევლინება.

პრაგა. ჩეხურ წყაროების ცნობით კრამარჟმა შვეციიდან ცნობა ჩამოიტანა, რომ იქ თანახმა არიან ბოჰემია მთლიანად ჩეხო-სლოვაკების სახელმწიფოში შევიდეს.

ნიუ-იორკი. (რეიტერის ცნობა). დემოკრატიული გაზეთები „ტაიმს“— და „იოპილდს“ შესაძლებლათ მიაჩნიათ, რომ მომავალ კონგრესზე რესპუბლიკელები უმთავრესობას შეადგენდნენ. „ნიუ-იორკის ტაიმსი“ ამბობს, რომ სენატში რესპუბლიკელები 4-ით მეტნი იქნებიან, ხოლო წარმომადგენლებითი პალატაში 19-ით მეტნი.

შტუტგარტი. სახელმწიფო სამინისტრომ გადადგომა ითხოვა. მეფე მოითხოვს ახალ სახელმწიფო სამინისტროს შედგენამდე, სამინისტრომ განაგრძოს თანამდებობის ასრულება.

ოლდენბურგი. პარლამენტარიზმის გასანვითარებლათ ოლდენბურგში ლანდტაგმა დაადგინა მოითხოვოს მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებლობა.

ბრემენი. მოქალაქეთა გალიწყვეტილებით მამაკაცებს უნდა მიეცეს საყოველთაო თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება.

ზალცბურგი. გუშინ ნაშუადღევის შემდეგ, ბავარიის ჯარის ორი ბატალიონი მოვიდა, რომელიც მთებში მიემგზავრება. საველე სატრანსპორტო სამმართველომ უარი განაცხადა დაეხმაროს ჯარს მგზავრობაში.

## ახალი ამბავი.

ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა წინ არ აღუდგეს ღვინის შემოტანას ქალაქში, ვინაიდან მას დაადებენ გადასახადს გაყიდვის დროს.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ალექსანდროპოლი და ბაქო ოსმალებმა დაიკავეს, გერმანიის მთავარ სამხედრო შტაბის ბრძანებით.

ა რ მ ა ვ ი რ ი. ქალაქი არმავირი, ბოლშევიკებსა და მოხალისეთა ჯარს შორის ხანგრძლივ ომების გამო სრულიად დანგრეულია. ქალაქის მცხოვრებლებმა დასტოვეს ქალაქი და გადაიხიზნენ იქვე ახლომახლო მდებარე სოფლებში.

კონსტანტინოპოლში ჟრიალებს მოკავშირეთა სამხედრო დროშები. ყველა ოსმალ. ფრონტზე ზავია ჩამოგდებული. ოსმალები დასთანხმდენ მოკავშირეების პირობებზე.

სომხეთის ახალ მთავრობის შემადგენლობა. ამ დღეებში სომხეთის რესპუბლიკაში აირჩა ახალი მთავრობა, სადაც შედიან მინისტრთა თავმჯდომარე: კაჩაზნუნი. საგარეო საქმის მინისტრი სირაკან პირაგანიანცი (დაშნაკ.) შინაგან საქმეთა მინისტრი არამი (დაშნაკ.) სამხედრო მინისტრათ ღენერალი ავხლედიანი (უპარტიო) ფინანსთა მინ.—არტაშეს ენფიადჟიანცი. იუსტიც. მინისტრი.—ს. არუტიუნიანცი, განათლ. მინისტრი მიკაელ ატაბეგიანცი. სასურსათო მინისტრი—ლევონ ღულაძე.

ჯულფის დაცლა. ოსმალოებმა გასწმინდეს ჯულფა.

ა ვ ს ტ რ ო-უ ნ გ რ ე თ ი ს ტყვეთა კომისია აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ავსტრო-უნგრეთთა სამხედრო ტყვეები არ სარგებლობენ საქართველოს სურსათით და ყოველი სურსათი, გარდა ხორცისა, მათ მოსდით სამშობლოდან.

8 ნ ო ე მ ბ ე რ ს, თბილისიდან ბაქოში გაემგზავრა ჩქარი მატარებლით საქართველოს დიპლომატიური მისია.

ბ ა ქ ო დ ა ნ გზათა მინისტრი დეპეშით იტყობინება, რომ მზათ არის თბილისში გასაგზავნათ ქართველთა მესამე პარტია, რიცხვ 300 კაცი. ადერბეიჯანის მთავრობას საშუალება არა აქვს მათ ვაგონისცეს. აუცილებელია დაჩქარებ გაგზავნილ იქნას თბილისიდან გონი მათ წამოსაყვანათ.

გ ზ ა თ ა ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო საერთო საქმეთა მწარმოებელმა ცხვლაურმა განკარგულება მოახდინ რომ უფასოთ იქნან თბილისში მ ტარებლით ჩამოყვანილი ის პირნ რომელნიც ბათუმში გაემგზავრ და ნატანებში დაკავებულ იქნენ.

— სომხეთის მინისტრთა თავჯდომარემ განაცხადა პარლამენტში რომ ის ლტოლვილნი, რომლები სომხეთის ტერიტორიაზე იმყოფე ბიან დაბრუნებულ იქმნებიან ალექსანდროპოლში და საერთოდ ადგილებში, რომლებიც განთავისუფლებულ იქნებიან ოსმალებისაგან მათი დაბრუნება მოხდება 1 დეკემბერიდან, ვინაიდან მანამდე ოსმალები ვერ გაანთავისუფლებენ ადგილებს.

— გუშინ ბაქოში საბჭოს საქმეების გამო გაემგზავრა რუს. ეროვ საბჭოს დელეგაცია, რომელშიდაც შედიან სტრელკოვსკი, კუტუკოვ და ბარსოვი.

ბ ა თ ო მ ი. ბათომიდან ჩამოსულის სიტყვით, ოსმალებმა ზოგიერთ ფრონტიდან მოხსნეს იარაღ და ზარბაზნები ოსმალეთში წასაღებათ. ბათომიდან ოსმალთა ჯარი წავიდა, დარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი ქალაქის დასაცავათ. ცხოვრება ნორმალურ პირობებში ჩადგა, სანოვაგე თვალსაჩინოდ გაიაფდა. მცხოვრებნი სიხარულით ელიან ოსმალთა დანარჩენ ჯარების წასვლას.

მ ი ნ ი ს ტ რ ი ს გ ა მ გ ზ ა ვ რ ე ბ ა. გუშინ 9 ნოემბერს, დაზიანებულ ძუვის ხიდის დასათვალიერებლათ გაემგზავრა გზათა მინისტრი ლორთქიფანიძე, თბილ. ღენერალ-გუბერნატორი მაზნიაშვილი და რკინის გზის საერთო საქმეთა მმართველი ფიცხელაური.

## სტანისლავ ვოლსკის ლექცია

(გაგრძელება იხ. „შრომა“ № 73)

ყოველი საწარმოო ერთეულები და ორგანიზაციები ავტონომიურათ მოქმედებენ. ცენტრის ინიციატივა დღეს უმთავრესათ იმაში გამოიხატება, რომ შემოიკრიბოს ყველა ეს ავტონომიური ნაწილები. მაგრამ ამ საქმეში ის მეტად სუსტია. ცენტრალურ სასურსათო კომიტეტს, რომელიც ყოველთვიურათ ხარჯავს 280 მილიონ მანეთს,—არც ერთი ნაწილი არ სცნობს. პროვინციებმა ხომ მისი არსებობაც არ იცის. არსებობს „ცენტრო-ტოპი“, რომლის მიზანია მცხოვრებლებ შეშით უზრუნველყოს, მაგრამ „ცენტრო-ტოპი“ თავის მიზანს ვერ აღწევს. შესდგა საზოგადოება, „პროლეტ-კულტი“, რომელმაც დაარსა ქალაქებში სხვა და სხვა პროლეტარული სასწავლებლები, გამოსცა წიგნები და სოციალისტური შინაარსის ბროშიურები და გაზეთები. ხსენებულ სა-

.. გადოებაში შევიდენ საუკეთესო ..ტელიგენტური ძალები და მუ..ბი, მაგრამ ეხლა მათ ცენტრი ..ვის თვალით უყურებს.

..არავითარი შემაერთებელი ძაფი ..აა გაბმული მუშებსა და ცენტრს ..ა. ცენტრსა და ადგილობრივ ორ..ნიზაციებს შორის მთელი უფსკრუ..ა გათხრილი. პერიფერიები ..ნტრს ბრლვევენ. სპეკულიაციას..ნ და კონტრ-რევოლიუციას..ნ ბრძოლისთვის შემოღებულია ..ერორი, რომლის ორგანიზაციის ..თავეში სდგას ცნობილი პროვო..ტორი, ერთ დროს თვით ბოლშე..კების მიერ დატუსაღებული, მაგ..ამ ეხლა მათი დიდი ნდობით აღ..ჭურვილი თანამშრომელი.

.. ასეთი შემთხვევები ბევრია. და ..ელ ხალხთან ერთად მოდის ძველი ..თოდები. საინტერესოა მათი მსჯე..ობა. პირველ სიტყვას ყოველი ..თგანი ასე იწყებს: გთხოვთ არ ..მთვალოთ კონტრ-რევოლიუციო..რათ და.... ტერორის საჭიროებას ..ინი ასე ასაბუთებენ: დღეს პრო..ეტარები ეწევიან კლასიურ ბრძო..ას, ჩვენ ვცხოვრობთ პროლეტა..იატის დიქტატორობის ხანაში. ..როლეტარიატის დიქტატურას სხვა ..ლასები ვერ ჭგუებიან და ამიტომ ..აჭიროა დანარჩენ კლასებთან ბრძო..ია. ამ ბრძოლაში ტერორია სა..ირო საბოლოო გამარჯვებამდის.

..ტერორი გამოდის არა მასისგან, ..რამედ განსაკუთრებულ კომისიიდან, ..რომელიც განსაკუთრებით სდევნის ..ნტელიგენციას. უმრავლესობა ინ..ტელიგენტურ ძალებისა გაგზავნი..ლია ფრონტზე. რაში მდგომარეობს ..მათი დანაშაული—ამაზე ვერავინ ..გიპასუხებთ.

რა ხდება ჯარში? პოლკოვოი კომიტეტები კაიხანია გაუქმდა. ძალა-უფლება გადაცემული აქვს ერთ კაცს, რომელსაც მიმართავენ „თქვენო მაღალკეთილშობილებავ“...

ჯარი არავის უსმენს. ის ცენტრის განკარგულებას არ ასრულებს, რისთვისაც ხშირია ბრძანება დახვრიტეთ ესა და ეს როტა (რომელმაც ბრძანება არ შეასრულა) მეორე როტის საშუალებით. მეორე როტა მესამეს საშუალებით და სხვა. ბრძანება ქაღალდზე რჩება. მოკლეთ: რუსეთში არ არის ისეთი ცენტრი, სადაც ყველა ძალები თავს იყრიდეს; რუსეთის მთავრობა, მისი დღევანდელი საქმიანობა და მოქმედება შემდეგ კითხვებზე ასე გიპასუხებს: რით შეიძლება იხსნას რევოლიუცია?—ანარქიით. რით შეიძლება შევქმნათ ანარქია?—დისციპლინის მოსპობით და განადგურებით. რით შეიძლება განახორციელოთ იგი? პროვოკაციით. თუ მასა არ მოგყვება?—ის რომ ადამიანთა ტყეა—იმოქმედე როგორც გსურს, მიიღე სამხედრო ზომები.

რუსეთის მომავლის შესახებ ლექტორმა ვერაფერი გვითხრა, მხოლოთ ის მხარე, სადაც მე ვიმოგზაურე „განწირულია“-ო—დაათავა მან.

იროდიონ ხანთაძე.

## ტეხნიკური ტერმინოლოგია.

(გაგრძელება)

Ива—ტირიფი.

Известковая почва—კირიანი ნიადაგი.

Известковообжигательная печь—კირის გამომწველი ღუმელი.

Изготовленіе—დამზადება, გაკეთება.

Измѣненіе—ცვლილება, გამოცვლა.

Измѣреніе—გაზომვა, აწყვა, აწონა.

Измять—გათელა, დაზელა.

Износ—გაცვეთა.

Изображать—გამოსახვა, გამოხატა.

Изогнуть—მოხრა, მოკაკვა, მოზნექა.

Изслѣдованіе—გამოკვლევა.

Изысканіе желѣзной дороги—რკინის გზის გამოკვლევა.

Инвентарь—ინვენტარი.

Инструментальщик—მეიარაღე.

Интеграл—ინტეგრალი.

Исключеніе—გამორიცხვა.

Искра—ნაპერწკალი.

„ электрическая—ელექტრონის.

Исток—სათავე.[1])

Истопник—ცეცხლ-ფარეში.

Источник—წყარო.

Истощеніе—გამოფიტვა, შესუსტება.

Истрескаться—დაბზარვა, დასკდომა.

Испытаніе двигателей—მამოძრავეთა გამოცდა, შემოწმება.

Исчисленіе—აღრიცხვა.

Искривленіе—გამრუდება.

Калмій—კადმიუმი.

Каменистое мѣсто—კაპანი, ქვიანი ადგილი.

Калиброванная цѣпь—დაყალიბებული ჯაჭვი.

Капля—წვეთი.

Карборунд—კარბორუნდი.

Карагач—თელადუმა.

Касательное напряженіе—შეხებითი გაჭიმვა.

Керн—საწერტლე.

Керосин—დაწმენდილი ნავთი, ასანთი.

Кирпич—აგური.

„ алый— „ ალისფერი.

„ красный „ წითელი.

„ огнеупорный „ ცეცხლშეუპოვარი.

„ машинный— „ მანქანის, მანქანით დამზადებული.

„ ручной — „ ხელის, ხელით დამზადებული.

„ легкій — „ მჩატე.

Клапан—სარქველი.

„ воздушный — „ საჰაერო.

„ всасывающій — „ შემსრუტველი, მწუწნავი.

„ выпускной — „ გამომშვები.

„ двойной — — „ ორმაგი, ორკეცი.

„ коническій — „ კონუსისებური.

„ питательный — „ მკვებავი.

„ предохранительный მცველი.

„ плоскій — „ პრტყელი.

Клеймо—დაღი.

Клещи кузнечные—მაშა.

Ковш—ციცხვი.

Кожа сыромятная—მოუქნელი ტყავი.

Колесная мастерская—თვლების სახელოსნო.

Колесник—მეთვლე.

Коловорот—ციბრუტი.

Копировальный станок—საპაჭენისო ჩარხი.

Корка—ქერქი.

Копанный—ნაბარი.

Котельщик—მექვაბე.

Костер—კოცონი.

Костяной уголь—ძვლის ნახშირი.

Косяк—ფერსო.[1])

Крапива—ჭინჭარი.

Кровельщик—მხურავი.

Красное каленіе—წითელ-ფერამდე გავარვარება.

Краскотерка—საღებავ-მსრესავი, საღებავ-მლესავი.

Кран подемный—ამწევი მანქანა.

Крестовина—ჯვარედინი.

Крейцмессель—კრეცმესელი.

Кроппиркуль—კარაკინი.

Крокус—კროქუსი.

Круг катанія—წრე გორაობისა.

Кузница—სამჭედლო.

Кузнечный уголь—სამჭედლო ნახშირი.

Кумач—კუმაში.

Кустарник—ბუჩქნარი, ჯაგნარი.

Куча—გროვა, ხროვა, ზვინი.

Куркума—ზარდაჩო.

(შემდეგი იქნება)

[1]) მდინარის.

[1]) ურმის თვლის გარშემო.

## სავალდებულო დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ყველა რკინის გზების (გარდა სამხრეთ ნაწილისა სადგურ ნავთლუღიდან) და ამ გზების გარშემო მდებარე ადგილების, აგრეთვე ფოთის ნავთსადგურის და მის რაიონის გენერალ-გუბერნატორისა, გამოცემული გუბერნიის საზოგადო დაწესებულებათა მე-23 მუხლის დამატებისა მე-19 მუხლის ძალით (ტომი 1 კანონთა კრებულისა).

§ 1.

1) მთავრობის განსაკუთრებულ ნებადაურთველად აკრძალულია ყველა პირთათვის შენახვა და გადატან გადმოტანა ყოველგვარ იარაღისა, სამხარ მასალისა და ასაფეთქებელ ნივთიერებისა რკინის გზის მიდამოებში.

2) აკრძალულია ყოველგვარ იარაღის ტარება ყველასათვის გარდა იმ პირებისა, რომელნიც მას ატარებენ სამსახურის გამო და აგრეთვე იმ პირებისა, რომელთაც აქვთ ამის სათანადო ნებართვა.

3) აკრძალულია ტარება ყოველგვარ უჩინარ იარაღისა, როგორც ჯოხებში ჩართულისა, ისე კასტეტებისა და სხვათა.

4) აკრძალულია რკინის გზის მიდამოებში მანიფესტაციები, სადემონსტრაციო პროცესიები და საჯაროდ სიტყვების წარმოთქმა. შეკრებილნი მოვალენი არიან დაიშალნენ რკინის გზის მილიციის, სამხედრო ყარაულისა და აგრეთვე სამსახურის მოვალეობის ამსრულებელ რკინის გზის აგენტის პირველ მოთხოვნისათანავე.

5) ყრილობები და კრებები შეიძლება გაიმართოს მხოლოდ ჩემის ნებართვით, რისთვისაც საჭიროა გზის ან ფოთის ნავთსადგურის უფროსების შუამდგომლობა.

6) მატარებლებში მყოფთ ეკრძალებათ დადგომა კიბეებზე, ბუფერებზე, ბანზე, ვაგონის ტორმოზზე და საზოგადოდ ვაგონების გარეთა ადგილებზე. აგრეთვე აკრძალულია შეხტომ-გადმოხტომა მატარებლიდან უკანასკნელის გაჩერებისა და დადგომამდის.

7) აკრძალულია მგზავრობა ორთქმავალებზე და ტენდერებზე იმ პირთათვის, რომელთაც ამის ნებართვა არ ექნებათ რკინის გზის ადმინისტრაციისაგან.

8) აკრძალულია რაიმე ბარგის გადაზიდვა ორთქმავალზე და ტენდერზე.

9) აკრძალულია გამოქვეყნება ან საზოგადოებაში გავრცელება:

ა) იმნაირ ცრუ ხმებისა მთავრობის მოქმედების და განკარგულების, ან ადმინისტრატიულ პირების, ჯარის, სახალხო გვარდიის ან მისი ნაწილის შესახებ, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ მცხოვრებლებში მათდამი მტრული განწყობილება.

ბ) ისეთი ცრუ ხმებისა, რომლებიც გამოიწვევენ საზოგადო შიშიანობას მთავრობის განკარგულებათა გამო, აგრეთვე გავრცელება ყალბი ცნობებისა საერთო უბედურებისა და სხვა რამ მოვლენათა შესახებ.

10) აკრძალულია დამზადება, ან შეკეთება რკინის გზის სახელოსნოებში ყოველგვარ იარაღისა და აგრეთვე იარაღის ყაყიდვა რკინის გზის (მიდამოებში) და რკინის გზის კიოსკებშიაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს მუხლი არ ვრცელდება იმ სახელოსნოებზე, რომლებშიც მზადდება იარაღი რკინის გზის მილიციისათვის.

11) აკრძალულია გაკვრა ყოველგვარ განცხადებებისა, მოწოდებებისა და სხ. რკინის გზის მიდამოებში. გამონაკლისს შეადგენენ მგზავრთათვის აგებული შენობები, სადაც განცხადებების გაკვრა საერთო კანონის მიხედვით ნება დართულია სათანადო მთავრობისაგან.

12) აკრძალულია რკინის გზის სახაზინო სადგომებში, მილიციის დაუკითხავად და მის ნებადაურთველათ, ღამის გასათევად მიღება, ან ერთ დღე-ღამეზე მეტხანს დატოვება საცხოვრებლად ნათესავებისა, ნაცნობებისა და საზოგადოთ გარეშე პირთა.

13) აკრძალულია სხვა პირთათვის გადაცემა იმ ნებართვისა, მოწმობებისა და სხვა ამ გვარ საბუთებისა, რომელთაც სარკინიგზო ადმინისტრაცია აძლევს თავის მოსამსახურეებს სახელოსნოებში, დეპოებში, კანტორებში, საწყობებში ან სხვაგან სადმე შესასვლელად.

14) აკრძალულია იმ პირთათვის, რომელთაც ამის ნებართვა არ ექნებათ, მოაჯირის ახსნა-დახურვა. ისრის გადაწევ-გადმოწევა, ნიშნების მიცემა და მოძრავ შემადგენლობის გადაწევა ერთი მხრიდან მეორე მხარეზე.

15) აკრძალულია საქონლის დატოვება ან მისი გადაყვანა რკინის გზის ლიანდაგზე გარდა ამისთვის განსაკუთრებით ნაჩვენებ ადგილებისა.

16) აკრძალულია რკინის გზის მიდამოებში მაგარ სასმელებით ვაჭრობა და მათი სმა.

17) აკრძალულია ნებადაურთველად რკინის გზის მიდამოებში ადგილების ფოტოგრაფიულად ან სხვა რაიმე საშუალებით გადაღება.

18) აკრძალული აქვთ რკინის გზის ყველა მოსამსახურეებს რაიმე საუბარი იქონიონ გარეშე პირებთან ჯარების მიმოზიდვისა და ამის გამო იმ განკარგულებების შესახებ, რომელიც გაკეთებულია საგზაო ადმინისტრაციისა ან სამხედრო უწყების მიერ.

§ 2.

1) აკრძალული აქვთ ყველა პირთ, რკინის გზის მოსამსახურეთა გარდა.

ა) რკინის გზის ლიანდაგზე სიარული, გარდა იმ ადგილებისა, რომელიც მიჩნეულია ასეთად.

ბ) ყოფნა მოსამსახურეთა შენობებში, სახელოსნოებში, დეპოებში, კანდუკტორთა და ორთქმავალთა ბრიგადის სასვენ ოთახებში და საზოგადოდ იმ შენობებში, რომლებსაც წარწერა აქვთ, რომ იქ შესვლა აკრძალულია გარეშე პირთათვის.

გ) დარჩენა რკინის გზის მიდამოებში გარდა იმ ადგილებისა, რომლებიც მიჩნეულია მგზავრთათვის (სადგური, საბარგო კანტორა, სამგზავრო და საბარგო ბაქანები) ამისთვის დანიშნულ დროს.

დ) ცხოვრება რკინის გზის შენობებში სარკინიგზო ადმინისტრაციის ნებადაურთველად.

ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დატუსაღებულ იქნებიან 3 თვემდე, ან გადიხდიან ჯარიმას 3.000 მანეთამდე.

ა მ გ ვ ა რ ა თ ვ ე დაისჯებიან:

ა) დამნაშავენი, რომელნიც არ შეასრულებენ სამსახურის მოვალეობის ამსრულებელ რკინის გზის აგენტის კანონიერ მოთხოვნას, გარდა ისეთ შემთხვევისა, როცა ამ მოთხოვნის შესრულებას შედეგად მოჰყვება ვისიმე სიკვდილი, ან ჯანმრთელობის გატეხა;

ბ) დამნაშავენი რკინის გზის გაფუჭებაში ანუ რკინის გზის შეკვრაში აშკარა გაუფთხილებლობით;

გ) დამნაშავენი ტეხნიკურ ექსპლოატაციის კანონების დარღვევაში, სადგომებიდან მატარებლების თავისუფალ დაუხანებლად გაშვების შესახებ, ლიანდაგზე;

დ) დამნაშავენი ამავე წესების დარღვევაში დამორჩილების შესახებ, მატარებელ და ორთქმავალ ბრიგადის მოსამსახურეთა მხრივ სადგურის უფროსების განკარგულებისა მატარებლების მიმოსვლის დროს სადგურებზე და სადგომებზე;

ე) რკინის გზის მცველნი, რომელნიც, დაუდევრობისა გამო ვერ შეამჩნევენ ლიანდაგის გაფუჭებას ან თავისუფალ მოძრაობის შემაფერხებელ სხვა დაბრკოლებას;

ვ) უბილეთო მგზავრნი;

ზ) ის მგზავრნი, რომელნიც ან ფანჯრებიდან, ან კარებიდან გამოიყურებიან მატარებლის ხიდზე გავლის დროს;

ჰ) ის პირნი, რომელნიც არ შეასრულებენ უფროსთა კანონიერ მოთხოვნას, ან სხვა პირთ შეუშლიან ამ ნაირ მოთხოვნის შესრულებას;

თ) ის პირნი, რომელნიც გადასცემენ შიფრიან კერძო პირთა დეპეშას;

ი) ის პირნი, რომელნიც რკინის გზის მიდამოებში გამოიტანენ ან ბანქოს, ან აზარტში მოიყვანენ სხვათამაშს.

ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

გენერალ-გუბერნატორი

გენერალ-მაიორი ყარალაშვილი.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

გ უ რ ი ა. წელს გურიაში მოსავალი საშუალო არის, მაგრამ გურიას თავისი თავის გატანა მეორე შემოდგომამდი მაინც არ შეუძლია, რადგან მოსავლის ხარჯვა 1 მარიამობისთვიდან დაიწყეს.

ამისათვის საჭიროა დროზე იქნას ყურადღება მიქცეული ამ გარემოებაზე. ეს ერობის საქმეა და მასაც მართებს დროზე შეიძინოს სურსათი. ამისთვის საჭიროა გამოირკვეს რამდენი სიმინდი მოვიდა მთლად გურიაში და რამდენის შეძენა დასჭირდება.

გურიაში ძლიერ გავრცელდა ახალი ავათმყოფობა და მუსრს ავლებს ხალხს.

ლანჩხუთიდან ამოყვანილმა ფერშალმა თუთხმეტი თუმანი ითხოვა სოფელ ჯუმათში და არაფრის გულიზა ნაკლები არ მიიღო. ორმოცი მანეთი ცხენს უნდება, ასი მანეთის წამალს დასწერს, ასე რომ ფერშლის მოყვანა 300 მან. უჯდება ადამიანს.

შეუძლია კი გლეხს ამდენი გადიხადოს, რომ ავადმყოფი უწამლოთ არ მოკლას? არა. ასეთ რამეებს აქვს ადგილი გურიაში და პატრონი კი არავინ არის.

გ—ძე.

სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—ცენტრალური კომიტეტი.

მთავრობის სტამბა.